პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

<u>თავმჯდომარე:</u>

შორენა ხუბუნაია, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

<u>წევრები:</u>

ტიტე ბოლქვაძე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

ევგენი გუგულაშვილი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **402019917**

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [x] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის №155-ე ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია (ჯგუფის თავმჯდომარე), ტიტე ბოლქვაძე (ჯგუფის წევრი), ევგენი გუგულაშვილი (ჯგუფის წევრი) 2019 წლის 6 და 7 მარტს განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - **„ბუღალტრული აღრიცხვა“, „საოფისე საქმე“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“** ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

კოლეჯში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან აფილირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და გადამოწმდა დაწესებულების მიერ მათი შესრულების მართებულობა, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

ზემოხსენებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რესურსები და განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისაწიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

	ინფორმაცია დაწესებულების, მისაწიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;			
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

	რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:			
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**		
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული	**მუხლი 7 /**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

	ევაკუაციის გეგმა;	**პუნქტი ვ.ბ)**		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

	კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.			

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 1
ქვესტანდარტი 1.1

<u>რეკომენდაცია:</u> სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებლებს გაეწიოთ კონსულტაცია ან ჩაუტარდეთ გადამზადება კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების მეთოდოლოგიურ გაუმჯობესებას.

ქვესტანდარტი 1.2
<u>რეკომენდაცია:</u> ვინაიდან კატალოგი არის სარეკლამო ხასიათის დოკუმენტი, ექსპერტთა ჯგუფის აზრით სასურველია მასში მოცემული იყოს ინფორმაცია კოლეჯის მიერ განხორციელებული აქტივობების, მიღწევების, პარტნიორებისა და სხვათა შესახებ.

ქვესტანდარტი 1.4
<u>რეკომენდაცია:</u> სასურველია კოლეჯმა შიდა მარეგულირებელ აქტში გაწეროს უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პირობები.
<u>რეკომენდაცია:</u> სასურველია პროფესიული სტუდენტის მობილობისას (შიდა ან გარე) უფლებამოსილი პირის/კომისიის მიერ შეიქმნას სწავლის შედეგების აღიარების/ჩათვლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

VII. დაწესებულების მისია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა, თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისათვის პირობების შექმნა. კოლეჯის ხედვაა, იყოს ლიდერი სასწავლებელი რეგიონში სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში, სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, პროფესიონალი პედაგოგებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორობით. კოლეჯის ფასეულობები და სამუშაო პრინციპებია:

- ინდივიდუალური მიდგომა ყოველი სტუდენტისადმი;
- სწავლის პროცესში განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე - ,,სწავლა კეთებით";
- თანამშრომლობითი, კომფორტული და ესთეტიური სასწავლო გარემოს შეთავაზება;
- მოტივირებული პედაგოგების კორპუსის შექმნა, როგორც მნიშვნელოვანი რესურსისა;
- სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის უზრუნველყოფა და შრომის ბაზარზე ორიენტაცია;
- ინოვაციურობა და პროგრესულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში (შემდგომში „კოლეჯი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი, რაც განსაზღვრულია „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის წესის“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - **„ბუღალტრული აღრიცხვა“, „საოფისე საქმე“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის №8 ბრძანებით.

„ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის წესი“ არეგულირებს პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების საკითხებს. წესში დეტალურადაა გაწერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მუშაობის, მოდულების ადაპტირების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურები. დაწესებულება იცავს დადგენილ პროცედურებს.

წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - **„ბუღალტრული აღრიცხვა“, „საოფისე საქმე“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“** განხორციელების დასაბუთება, რომელიც ეფუძნება ქვეყანაში ლოგისტიკური დარგის განვითარების პერსპექტივების ანალიზს, საოფისე საქმისა და ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელობის გაზიარებას ნებისმიერი პროფილის ორგანიზაციის, მათი საქმიანობის მასშტაბის თუ ორგანიზაციული ფორმის მიუხედავად. **„საოფისე საქმისა“** და **„სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“** პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისათვის წარმოდგენილია ბაზრის კვლევა, რის მიხედვითაც, ამ მიმართულების კადრებზე მოთხოვნა დინამიკაში მზარდია. კოლეჯი საკუთარი რესურსის შეფასებით ასაბუთებს თითოეულ პროგრამაზე 30 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.

სამივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს. წინაპირობების მქონე მოდულების პროფესიული საგამანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმაში დაგეგმვის პროცესი რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით დამტკიცებული „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის წესის“ მე-2 მუხლით და კოლეჯის შინაგანაწესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით. წინაპირობების მქონე მოდულების შემთხვევაში, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის წესის მიხედვით, „წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება სასურველია განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

ინტერვალით“. კოლეჯის შინაგანაწესის მიხედვით „სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, მას კიდევ ერთხელ არანაკლებ 10 დღის შემდეგ, ეძლევა დამატებით გამოცდაზე გავლის უფლება“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - **„ბუღალტრული აღრიცხვა“, „საოფისე საქმე“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“** სასწავლო გეგმების მიხედვით, წინმსწრებ მოდულებს შორის გადაბარების ვადები დაცული არ იყო. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და მისი გამოყენებით ახდენს პროფესიული სტუდენტის სწავლებას მოდულზე დაშვების წინაპირობების დაცვით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე გადამოწმდა ინდივიდუალური გეგმების არსებობა. წარმოდგენილი დოკუმენტის ანალიზის შედეგად ცხადი გახდა, რომ მთელი სასწავლო პროგრამის განმავლობაში ამ გზით სტუდენტთა სწავლება არასახარბიელო იყო, რაც კოლეჯის წარმომადგენელთა მიერ გაზიარებულ იქნა. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა ამ სამი დოკუმენტის (წესის, შინაგანაწესისა და სასწავლო გეგმების) დებულებების ურთიერთშესაბამისობის თაობაზე. კოლეჯმა გაიზიარა საკითხის მართებულობა და ვიზიტის პერიოდში კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცა 2019 წლის 6 მარტის №15 ბრძანება შიდა მარეგულირებელ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილების მიხედით, პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების გადაბარების შესაძლებლობა ეძლევა განმსაზღვრელი შეფასებიდან არანაკლებ 10 დღეში. აღნიშნული ვადები კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 6 მარტის ბრძანებით დარეგულირდა სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, გარდა პრაქტიკული კომპონენტის დაწყების ვადებისა. ამ შემთხვევაში, კოლეჯი გამოიყენებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს.

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-8 მუხლი არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური კალენდარული გეგმის შემუშავების პროცედურას. კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა კოლეჯის რეგულაციის მიხედვით და უფლებამოსილ პირთან გასაუბრებიდან გაირკვა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების საფუძველზე კოლეჯი მოიწვევს ასეთ სპეციალისტს, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ჩართვას სწავლების პროცესში. ვინაიდან, კოლეჯს არ ჰყოლია სპეციალური საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

საჭიროების მქონე სტუდენტები, შესაბამისად, ვერ იქნა წარმოდგენილ სსსმ პროფესიულ სტუდენტთათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო/კალენდარული გეგმა და მასთან აფილირებული დოკუმენტაცია.

კოლეჯში პროფესიული სტუდენტებისათვის კრედიტებისა და მიღებული განათლების აღიარების პროცედურას არეგულირებს კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-5 და მე-6 მუხლები. ინტერვიურების შედეგად გაირკვა, რომ კოლეჯში მომართვის არარსებობის გამო, არ განხორციელებულა არაფორმალური განათლების აღიარება.

სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია, ტექსტში არ იკითხება სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც შესაბამისობაში იყო მოდულების სწავლის შედეგებთან, თუმცა შეფასების ინსტრუმენტები საჭიროებს მეთოდოლოგიურ გაუმჯობესებას. მაგალითად, სასურველია შეფასების ინსტრუმენტში მიეთითოს მოდულის ის სწავლის შედეგები, რომლის დადასურებისთვისაც არის ის შედგენილი.

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 2 ოქტომბრის №74 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესის“ მე-2 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების უწყისის წარმოების პროცედურებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების უწყისების წარმოების მიმდინარეობა, რაც შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დადგენილ წესთან და კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის კოლეჯს განუსაზღვრელი ვადით გაფორმებული აქვს მემორანდუმი სს „საქართველოს რკინიგზასთან“.

მემორანდუმში გაწერილია კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტის უფლება - მოვალეობები. კოლეჯის წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე კოლეჯი პრაქტიკის ობიექტთან აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი ხელშეკრულების საგანი, მხარეთა მოვალეობები და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პირობები. პრაქტიკული კომპონენტის დაწყების წინ კოლეჯი წერილობით მიმართავს პრაქტიკის ობიექტს და აწვდის შესაბამის ინფორმაციას. პრაქტიკის ობიექტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

უფლებამოსილი პირი გამოსცემს ბრძანებას პრაქტიკულ კომპონენტზე პროფესიულ სტუდენტთა დაშვების შესახებ. აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, წარმოდგენილ იქნა კოლეჯის წარმომადგენლის მიერ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა პრაქტიკის ობიექტი სს „საქართველოს რკინიგზა“ და შემოწმდა სამუშაო პირობები. ობიექტებზე ნამდვილად არის შექმნილი ყველა პირობა სტუდენტთათვის თეორიული ცოდნის მიღების და პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ კომპანიას აქვს კოლეჯთან თანამშრომლობის კარგი გამოცდილება და მომავალშიც აპირებს ამ მიმართულებით ურთიერთობის გაგრძელებას.

კოლეჯი აწარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს, სადაც შეტანილი აქვს ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული სტუდენტების (მათ შორის: აქტიური სტატუსის, სტატუსშეჩერებულის), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ.

ესპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - **„ბუღალტრული აღრიცხვა“, „საოფისე საქმე“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“** განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. მასწავლებლები ძირითადად იცნობდნენ მოდულებს, თუმცა საჭიროებენ კონსულტაციებს/ტრეინინგებს კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.

<u>**რეკომენდაცია:**</u>

1. სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებლებს გაეწიოთ კონსულტაცია ან ჩაუტარდეთ გადამზადება კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების მეთოდოლოგიურ გაუმჯობესებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის წესი, 23.05.2018, ბრძ.№43;
- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელის წესი, 23.05.2018, ბრძ.№43;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - **„ბუღალტრული აღრიცხვა“ „საოფისე საქმე“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“** დამტკიცების აქტი, 13.02.2019; ბრძ. №8;
- ✓ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები (ნამუშევრები), უწყისები;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მემორანდუმი;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემა, www.evet.emis.ge;
- ✓ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 6 მარტის № 15 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შინაგანაწესში და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებების შეტანისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის შემუშავების), პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის წესის და მატერიალური რესურსების მართვის წესის დამტკიცების თაობაზე ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ;
- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 6 მარტის №14 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის №08 ბრძანებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ“;
- ✓ ინტერვიუ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს ვებგვერდზე განთავსებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც მოიცავს ინფორმაციას იმ 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რომლის განხორციელების უფლებაც აქვს კოლეჯს და ანონსის სახით მოცემულია დასამატებელი სამივე პროგრამის შესახებ ინფორმაცია. კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, დაშვების წინაპირობების, დასაქმების შესაძლებლობების, კრედიტებისა და შეფასების წესის, სწავლების ფორმისა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობების შესახებ.

ვინაიდან კატალოგი არის სარეკლამო ხასიათის დოკუმენტი, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია მასში მოცემული იყოს ინფორმაცია კოლეჯის მიერ განხორციელებული აქტივობების, მიღწევების, პარტნიორებისა და სხვათა შესახებ.

<u>რეკომენდაცია:</u> ვინაიდან კატალოგი არის სარეკლამო ხასიათის დოკუმენტი, ექსპერტთა ჯგუფის აზრით სასურველია მასში მოცემული იყოს ინფორმაცია კოლეჯის მიერ განხორციელებული აქტივობების, მიღწევების, პარტნიორებისა და სხვათა შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „კატალოგი“;
- ✓ https://www.rtc.edu.ge/

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების - **„ბუღალტრული აღრიცხვა“, „საოფისე საქმე“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“** სწავლის შედეგები შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით (ცვლილებები შეტანილია ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის №80/ი ბრძანებით) დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ **ბუღალტრული აღრიცხვის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ **საოფისე საქმის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ **სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

- ✓ **ბუღალტრული აღრიცხვის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი);
- ✓ **საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი)
- ✓ **ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი).

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების წესებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. მათ შორის, გათვალისწინებულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში, კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობის ფორმები. თუმცა, კოლეჯის შიდა აქტებით არ არის დარეგულირებული უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პირობები. კოლეჯის წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ კოლეჯს არ ჰყოლია უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების მქონე არც ერთი პროფესიული სტუდენტი.

ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა აქტიური სტატუსის მქონე, სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები. დაწესებულება იცავს შიდა რეგულაციასა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰყავდა სტატუსშეწყვეტილი და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტები.

კოლეჯის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ იქნა შიდა მობილობის განხორციელების დოკუმენტაცია. კერძოდ: პროფესიულ სტუდენტთა პირადი განცხადებები; პროფესიულ სტუდენტთა განცხადების მსვლელობის მიცემის თხოვნის თაობაზე, კოლეჯის სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მართვის მენეჯერის მოხსნებითი ბარათი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების მიზნით შიდა მობილობით გადასულ პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულია ხელშეკრულების დამატებები; კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა შიდა მობილობით გადაყვანის თაობაზე. კოლეჯში დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით „შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს კოლეჯი“. თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში კოლეჯს არ შეუქმნია პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარების/ჩათვლის დამადასტურებელი დოკუმენტი. კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგები და მოდულები ერთი და იგივე იყო ორივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. თუმცა, ექსპერტთა აზრით, რეკომენდებულია პროფესიული სტუდენტის მობილობისას (შიდა ან გარე) უფლებამოსილი პირის/კომისიის მიერ შეიქმნას სწავლის შედეგების აღიარების/ჩათვლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

<u>რეკომენდაცია:</u>

1. სასურველია კოლეჯმა შიდა მარეგულირებელ აქტში გაწეროს უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პირობები.
2. სასურველია პროფესიული სტუდენტის მობილობისას (შიდა ან გარე) უფლებამოსილი პირის/კომისიის მიერ შეიქმნას სწავლის შედეგების აღიარების/ჩათვლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელის წესი, 23.05.2018, ბრძ.№43;
- ✓ სტატუსშეჩერებული, შიდა მობილობით გადმოსული და აქტიური პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
- ✓ შიდა მობილობის განხორციელების დოკუმენტაცია;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემა (**evet.emis.ge**).

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლების უზრუნველყოფას, რომლის განხორციელების პროცედურა მოცემულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-7 მუხლით. რის მიხედვითაც, პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. **„საოფისე საქმისა“** და **„ბუღალტრული აღრიცხვის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში კოლეჯს 2019 წლის 12 თებერვალს განუსაზღვრელი ვადით, გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან“ (№376, 12.02.2019). **„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში კოლეჯს 2019 წლის 13 თებერვალს განუსაზღვრელი ვადით გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან“ (№01-08-17/8-2019-4, 13.02.2019).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელის წესი, 23.05.2018, ბრძ.№43;
- ✓ სსიპ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან“ განუსაზღვრელი ვადით გაფორმებული მემორანდუმი, №376, 12.02.2019;
- ✓ სსიპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან“ განუსაზღვრელი ვადით გაფორმებული მემორანდუმი, №01-08-17/8-2019-4, 13.02.2019.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის მართვის სამსახურის დებულება“. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არის ხარისხის მართვის მენეჯერი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში მოცემულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამსახურის ამოცანები და მოვალეობები. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 31 მაისის №49 ბრძანებით (ცვლილებები შეტანილია 2018 წლის 2 ოქტომბრის №74 ბრძანებით) შექმნილია „მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფი“ და დამტკიცებულია „კოლეჯის მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების მუშაობის წესი“.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ფაქტიური გარემოება და შემდეგი დოკუმენტაცია: შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების შევსებული კითხვარები, პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვების შევსებული კითხვარები, მეცადინეობებზე დასწრების აქტები, ანგარიში. ჯგუფის რეკომენდაციებს კოლეჯი ითვალისწინებს, კერძოდ კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებში. სასურველია შიდა მონიტორინგის ჯგუფმა გააძლიეროს თანამშრომლობა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან შეფასების დაგეგმვისა და შეფასების მტკიცებულებების შექმნის მიმართულებით (იხილეთ აღწერა და რეომენდაცია 1.1 ქვესტანდარტში).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის დებულება, 16.09.2016, ბრძ.№5;
- ✓ დირექტორის ბრძანება თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობის დამტკიცების შესახებ 15.01.2018, ბრძ. N27; 15.02.2019, ბრძ.№11;
- ✓ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების შევსებული კითხვარები, პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვების შევსებული კითხვარები, მეცადინეობებზე დასწრებების კითხვარები, ანგარიში;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს“ სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით (12.02.2016) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან გადმოცემული აქვს ქ. თბილისში, თემქის დასახლებაში, მე-11 მიკრო/რაიონში, მე-3 კვარტალში, ნაკვეთ 01/10-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე მიმაგრებული №1, №2 და №3 შენობა-ნაგებობები (საკადასტრო კოდი: [redacted] დაზუსტებული ფართით 42887 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ფართი - 5813 კვ.მ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მიკრო/რაიონი, მე-3 კვარტალი, ნაკვეთი 01/10	დაზუსტებული ფართით 42887 კვ.მ; შენობა-ნაგებობა - 5813 კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ უზუფრუქტის ხელშეკრულება, რეგისტრაციის [redacted] დამოწმების თარიღი 12.02.2016
- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან [redacted]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს გააჩნია თითოეული დასამატებელი პროგრამისთვის საჭირო ყველა ტიპის სასწავლო გარემო, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ბუღალტრული აღრიცხვა“** გამოყოფილია B ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 401-ის სახით, სადაც განთავსებულია 8 ორადგილიანი მაგიდა 16 სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, სულ 16 კომპიუტერი. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი პორტატული კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები), არის დაფა და საკანცელარიო ნივთები. პორტატული კომპიუტერი და სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და თითოეულში ჩაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო „ბუღალტრული პროგრამა ORIS“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ბუღალტრული აღრიცხვა“** გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 409-ის სახით, სადაც განთავსებულია 15 ორადგილიანი მაგიდა 18 სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი პორტატული კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი, დაფა და საკანცელარიო ნივთები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის - **„სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“** გამოყოფილია B ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 408-ის სახით, სადაც განთავსებულია 8 ორადგილიანი მაგიდა 16 სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, სულ 16 კომპიუტერი. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი პორტატული კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები), არის დაფა და საკანცელარიო ნივთები. პორტატული კომპიუტერი და სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და თითოეულში ჩაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამა: FINA, NEXTAR.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის - **„სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“** გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 407-ის სახით, სადაც განთავსებულია 8 ორადგილიანი მაგიდა 15 სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი პორტატული კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი, დაფა და საკანცელარიო ნივთები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის - **„საოფისე საქმე“** გამოყოფილია B ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 406-ის სახით, სადაც განთავსებულია 8 ორადგილიანი მაგიდა 16 სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, სულ 16 კომპიუტერი. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი პორტატული კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები), არის დაფა და საკანცელარიო ნივთები. პორტატული კომპიუტერი და სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის - **„საოფისე საქმე“** გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 405-ის სახით, სადაც განთავსებულია 36 ერთადგილიანი მაგიდა 36 სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი პორტატული კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი, დაფა და საკანცელარიო ნივთები.

კოლეჯს ასევე გააჩნია საგამოცდო ოთახი, რომელშიც განთავსებულია: 28 ერთადგილიანი მერხი, 28 სკამი, 27 სამაგიდე კომპიუტერი, 1 პორტატული კომპიუტერი, 1 მრავალფუნქციური პრინტერი. კოლეჯში არსებობს შეხვედრების ოთახი, რომელიც გათვლილია 38 პირზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები);
- ✓ ხელშეკრულება ინვენტარის გადმოცემის შესახებ №PP09-A1/ISWD/G/S/18-144;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს „თელასთან", არის თელასის აბონენეტი № 3306005 და იხდის ყოველთვიურ გადასახადს.

GWP - ს მიერ 24.05.2017 წელს გაცემული № 0G17-36427 ბრძანებით, კოლეჯი მიერთებულია წყალმომარაგების ქსელზე და უზრუნველყოფილია უწყვეტი წყალმომარაგებით. კოლეჯი არის GWP - ს აბონენტი № 751064465 და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. კოლეჯში არის 10 სველი წერტილი, რომელიც განთავსებულია შენობის ყველა სართულზე. სველი წერტილები გამიჯნულია ქალებისა და მამაკაცებისათვის. კოლეჯის არსებული სველი წერტილები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

შპს „ყანსტრანსგაზ-თბილისი"-ს 01.11.2017 წლის გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ტექნიკური პირობის - №05-05-01/6924-ის საფუძველზე, კოლეჯი მიერთებულია ქსელზე და უზრუნველყოფილია მუდმივი გაზმომარაგებით. კოლეჯი არის შპს „ ყანსტრანსგაზ-თბილისი"-ის აბონენტი № 579205-784 და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. კოლეჯში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები;
- ✓ ქსელზე მიერთების აქტები;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი სრულადაა წარმოდგენილი. საგანმანათლებლო რესურსის უმეტესობა ელექტრონულ ფორმატშია და ჩატვირთულია სამკითხველო დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში. საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია ბეჭდურ კატალოგში. წიგნადი ფონდის კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 4 სამაგიდო და ერთი პორტატული კომპიუტერი, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი) და ქაღალდების ასაკინძი მოწყობილობა.

კოლეჯს შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელიც ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია ვებგვერდზე, სადაც გაწერილია შემდეგი პუნქტები: ზოგადი დებულებანი, კოლეჯის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება, ბიბლიოთეკის მკითხველის უფლება-მოვალეობანი, სამკითხელო დარბაზში ქცევის წესები, ბიბლიოთეკის წიგნის გატანის პროცედურა, ელექტრონულ მატარებელზე არსებული რესურსები, მკითხველთა პასუხისმგებლობა; ბიბლიოთეკის მუშაობის დრო.

კოლეჯში საბიბლიოთეკო საქმეს წარმართავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ხარისხი ქართული ფილოლოგიის მიმართულებით და გავლილი აქვს სტაჟირება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკის დეპარტამენტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- ✓ წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოები;
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს საკუთრებაში აქვს 159 სამაგიდო და 25 პორტატული კომპიუტერი, აქედან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენება 150 სამაგიდო და 15 პორტატული, ხოლო დაწესებულების მართვაში - 9 სამაგიდო და 10 პორტატული კომპიუტერი.

კოლეჯი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ასევე იყენებს 16 ცალ პროექტორს საკიდით და ამდენივე პროექტორის ეკრანს.

კოლეჯს აქვს 1 ცალი ფერადი პრინტერი და 15 ცალი მრავალფუნქციური პრინტერი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები).

შენობის ყველა სართულზე დამონტაჟებულია ქსელური მოწყობილობები, საიდანაც ვრცელდება სადენიანი და უსადენო ინტერნეტ კავშირი. უსადენო წვდომის წერტილი დამონტაჟებულია ყველა სართულზე და ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

კოლეჯის მართვის პროცესში გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა და ვებგვერდი. კოლეჯი ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.

ვებგვერდი დომენური სახელით - "www.rtc.edu.ge" წარმოადგენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყაროს დაინტერესებული პირებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ ვებგვერდი www.rtc.edu.ge;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება;
- ✓ ინტერვიურება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში საქმისწარმოება რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით." კოლეჯში გამოყოფილია საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 15 იანვრის №27 ბრძანებით. კოლეჯში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციის აღრიცხვა შიდა მარეგულირებელი წესის მიხედვით. კოლეჯი ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (e-flow.emis.ge). ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ფაქტობრივი მდგომარეობა. კოლეჯი იცავს საქმისწარმოების წესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

წარმოდგენილ იქნა ბრძანებების, შემოსული და კორესპოდენციის აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც დამუშავებულია საქმისწარმოების წესის მიხედვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „საქმისწარმოების წესი“, 04.01.2019, ბრძ.№01;
- ✓ დირექტორის ბრძანება თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობის დამტკიცების შესახებ 15.01.2018, ბრძ. N27;
- ✓ საქმისწარმოების წესით დამუშავებული დოკუმენტები;
- ✓ დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალები;
- ✓ e-flow.emis.ge.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სათანადო უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული ევაკუაციის გეგმები, განთავსებულია კოლეჯის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე. ყველა სართულზე, ორ ადგილას, განლაგებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია და ექსპლუატაციისთვის ვარგისი ცეცხლმაქრები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

კოლეჯს 2018 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული აქვს №31 ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან - შპს „საკუთრების დაცვის სამმართველო - I“, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგის და ქონების დაცვას, ობიექტზე არსებული ვითარების უწყვეტ სადღეღამისო მონიტორინგს, უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებების ნორმალური ფუნქციონირების კონტროლს, ობიექტზე პერსონალის დაშვების უზრუნველყოფას კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას 24 საათის განმავლობაში. სასწავლო კორპუსის დერეფნები და გარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია სათვალთვალო კამერებით.

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, კოლეჯში არსებობს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით, მათ შორის: მრავალფუნქციური საწოლითა და მაგიდით, საჭირო გადაუდებელი სამკურნალო საშუალებებით, მულაჟით. პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფისათვის კოლეჯს ჰყავს კვალიფიციური პერსონალი - მედდა, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. მედდა გაცნობილია მის სამუშაოს აღწერილობას, რაც დასტურდება „მედდის სამუშაოს აღწერილობაზე“ მისი ხელმოწერით.

კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 17 აგვისტოს №62 ბრძანებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმა;
- ✓ 2018 წლის 28 დეკემბრის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება №31 კოლეჯსა და კერძო დაცვის სამსახურ „საკუთრების დაცვის სამმართველო-I“-ს შორის;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (ბრძანება #62 17.08.2018წ);
- ✓ მედდის სამუშაოს აღწერილობა;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის/პროფესიული სტუდენტებისათვის. შენობის ეზოდან შესაძლებელია პანდუსით სარგებლობა. შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი, რომლითაც შესაძლებელია სსსმ პირთა გადაადგილება. სსსმ პირებისათვის ადაპტირებული სველი წერტილი განლაგებულია შენობის ყველა სართულზე. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 31 დეკემბრის №88 ბრძანებით სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ხელშეწყობა ევალება კოლეჯის მედდას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 31 დეკემბრის №88 ბრძანება „კოლეჯის მედდისათვის შშმ და სსმ პროფესიული სტუდენტებისათვის გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის დავალების შესახებ"
- ✓ ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს 2018 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული აქვს №27/12/8 ხელშეკრულება შპს „იუ ლაიქთან“ მსოფლიო ქსელის (www) გვერდის ჰოსტინგის შესყიდვის შესახებ. ასევე 2018 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული აქვს №28/12/8 ხელშეკრულება შპს „მაგთიკომთან“ ინტერნეტ-მომსახურეობის გაწევის შესახებ.

კოლეჯის ვებ-გვერდია www.rtc.edu.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სიახლეები, მისია და ხედვა, სტრუქტურა, დაწესებულების სამართლებრივი აქტები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული კატალოგი, ინფორმაცია მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ, კოლეჯის განვითარების გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტო გალერეა და სხვა.

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია და დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვებ-გვერდი www.rtc.edu.ge;
- ✓ ინტერნეტ-მომსახურეობის გაწევის შესახებ 2018 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულება №28/12/8;
- ✓ ჰოსტინგის შესყიდვის შესახებ 2018 წლის 27 დეკემბრის ხელშეკრულება № 27/12/8;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი, 2016-2021) და ერთწლიანი (2019) სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ. სტრატეგიული გეგმები გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. სამოქმედო გეგმებში მოცემულია კონკრეტული აქტივობების აღწერა. მასში გაწერილია: სტრატეგიული ამოცანები, დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირი, შესრულების ვადები და მოსალოდნელი შედეგები.

კოლეჯი ადგენს სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებს. კოლეჯის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ იქნა წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2016-2021 სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ერთწლიანი (2019) სამოქმედო გეგმა;
- ✓ 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობის დაკავების წესი გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესში. თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 15 იანვრის №27 ბრძანებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ პერსონალის პირად საქმეებში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შინაგაწესი;
- ✓ დირექტორის ბრძანება თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობის დამტკიცების შესახებ 15.01.2018, ბრძ. N27.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 10 მასწავლებელი. კოლეჯის მიერ **ბუღალტრული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 30/10 შეადგენს 3-ს.

საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 14 მასწავლებელი. კოლეჯის მიერ **საოფისე საქმის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 30/14 შეადგენს 2.14-ს.

სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 12 მასწავლებელი. კოლეჯის მიერ **საოფისე საქმის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 30/12 შეადგენს 2.5-ს.

პერსონალის შესახებ ინფორმაცია შეტანიალია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შინაგაწესი;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემა (**evet.emis.ge**).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის შინაგანაწესის მე-9 მუხლი არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესს, რის მიხედვითაც, პროფესიული განათლების მასწავლებელი სამსახურში მიიღება გასაუბრების ან კონკურსის გზით. კოლეჯის დირექტორის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება ან ინიშნება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. **ბუღალტრული აღრიცხვის, საოფისე საქმისა და სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულია გასაუბრებით და მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებით კოლეჯის მიდომებით დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფი. კოლეჯის წარმომადგენელმა წარმოადგინა ბოლო კონკურსის განხორციელების დოკუმენტაცია, კერძოდ: საკონკურსო განცხადებები და საოქმო გადაწყვეტილებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შინაგაწესი;
- ✓ კონკურსის ჩატარების დოკუმენტები.
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/ საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ბუღალტრული აღრიცხვა	მეხუთე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156	99	129	ქართული ენა	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მიკრო/რაიონი, მე-3 კვარტალი, ნაკვეთი 01/10	0	30
2	საოფისე საქმე	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369	59	89	ქართული ენა	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მიკრო/რაიონი, მე-3 კვარტალი, ნაკვეთი 01/10	0	30
3	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 020371	69	99	ქართული ენა	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მიკრო/რაიონი, მე-3 კვარტალი, ნაკვეთი 01/10	0	30

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი:

1. ვიზიტის დღის წესრიგი.

2. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 6 მარტის № 15 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შინაგანაწესში და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებების შეტანისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის შემუშავების), პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის წესის და მატერიალური რესურსების მართვის წესის დამტკიცების თაობაზე ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ.
3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 6 მარტის №14 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ. თბილისი, 2019

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის №08 ბრძანებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ“

4. **ბუღალტრული აღრიცხვის, საოფისე საქმისა და სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ელექტრონული პაკეტი.

15.03.2019
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---